შპს „მშენ-ექსპერტი“ - LTD „BUILD-EXPERT“

A – ტიპის ინსპექტირების ორგანო

მის.: ქ. თბილისი, მიროტაძის ქუჩა №1, ბინა №4

ტელ.: (+995) 595-95-25-22

ს/კ 200266559

საქ GAC

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013

GAC –IB-0121

აკრედიტაციის მოწმობის №:GAC-IB-0121

ინსპექტირების ანგარიშის №: FT-249/05/19-I249/3

გაცემის თარიღი: “ 14 ” 06 2019 წელი

ინსპექტირების თარიღი: 12.06÷14.06.2019 წელი

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:

ქ. თბილისში, კვაჭანტირაძის ქ. №5, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი

ვამტკიცებ,

დირექტორი, პროფესორი

მ. წიქარიშვილი

ინსპექტირების ანგარიში

(ექსპერტიზის დასკვნა)

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	შპს „სი.აი.ჯი“; ს/კ 405319874 დირექტორი: არვინ ფარაჯი
ანგარიშის შედგენის საფუძველი:	განაცხადი №249/05/19-I249 (26.05.2019 წ) ხელშეკრულება №C-249/05/19-I249 (26.05.2019 წ)
ინსპექტირების სფერო:	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირება
ინსპექტირების ამოცანა:	ქ. თბილისში, კვაჭანტირაძის ქ. №5, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირება.

თბილისი,

2019 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებლები 3
2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები 3
3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები 3
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დასკვნა 6

ინსპექტირების შემსრულებლები

ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლობლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ინსპექტორი: ***ალექსანდრე ნატროშვილი***

წარმოდგენილი მასალები

1. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი (1 ალბომი– და მისი შესაბამისი ელექტრონული ვერსია pdf ფორმატში;
2. გეოლოგიური კვლევის ანგარიში.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. პროექტირების ნორმები, პნ 03.01-09 – "ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები";
2. პროექტირების ნორმები, პნ 01.01-09 – "სეისმომედეგი მშენებლობა";
3. პროექტირების ნორმები, პნ 02.01-08 – "შენობებისა და ნაგებობების ფუძეები";
4. პროექტირების ნორმები, პნ 01.05-08 – "სამშენებლო კლიმატოლოგია";
5. სამშენებლო ნორმები და წესები, СНиП 2.01.07-85 – დატვირთვები და ზემოქმედებები;
6. СНиП III-4-80 – "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში";
7. B-E – TP-G05/16 – ინსპექტირებს მეთოდები და პროცედურები.

კვლევითი ნაწილი

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, კვაჭანტირაძის ქ. №5-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, დამუშავებული შპს „სი.აი.ჯი“-ს მიერ (მთავარი კონსტრუქტორი: ა. ცომაია).

პროექტით გათვალისწინებულია ზემოთაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ცალკე მდგომი მეორე ბლოკის მშენებლობა, რომლის მაქსიმალური სიმაღლე და სართულიანობა შემცირებულია პირველად პროექტში განხორციელებული კორექტირების შედეგად.

საპროექტო შენობა 8-სართულიანია, სარდაფის სართულით. სარდაფის სართული გავრცელებულია მთელს შენობაზე. შენობა გეგმაში ტრაპეციული ფორმისაა, ზომებით ღერძებში–33.90X15.0მ. ნაგებობის კონსტრუქციული სქემა კარკასულია, მონოლითური რკინაბეტონის სვეტებით, რიგელებით და გადახურვის ფილებით. კონსტრუქციებში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი და A-III და A-I კლასის არმატურა. შენობის სახურავი ბრტყელია, რკინაბეტონის გადახურვის ფილაზე. ფასადის კედლების შევსება ხორციელდება მცირე ზომის სამშენებლო საკედლე ბლოკით. კედლების წყობა არმირებულია. ტიხრები ასევე სატიხრე ბლოკისაა. სარდაფის კედლები მონოლითური რკინაბეტონისაა, სისქით 30 სმ. შენობაში დაგეგმარებულია მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმები სისქით 20 სმ.

შენობის საძირკვლები მონოლითური რკინაბეტონისაა. დაგეგმარებულია ხიმინჯოვანი საძირკვლები, ძირითად ქანზე დაყრდნობილი ხიმინჯებით, მასში შეჭრით 1.0 მ სიღრმეზე. გამოყენებულია რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები სიმაღლით 8.0 მ. შენობის როსტვერკი ფილის ტიპისაა, სისქით 70 სმ. როსტვერკის ფილის ქვეშ გამოყენებულია დაბალმარკიანი ბეტონის მომზადება, სისქით 10 სმ.

შენობა და მისი კონსტრუქციული ელემენტები გაანგარიშებულია დატვირთვების ძირითად და განსაკუთრებულ თანწყობაზე. გაანგარიშებისას გათვალისწინებული დატვირთვების მნიშვნელობები (მუდმივი, სასარგებლო, თოვლის, ქარის და სეისმიური დატვირთვები) თანხვედრაშია პროექტირების ნორმების მოთხოვნებთან. პროექტით შერჩეული კონსტრუქციული ელემენტების განივკვეთები და მათი სიმტკიცის მახასიათებლები შესაბამისობაშია მათზე მოქმედ შესაბამის დატვირთვებთან და გაანგარიშების შედეგებთან.

წარმოდგენილი პროექტი გაკორექტირებული იქნა 2019 წლის 26 მაისის FT-249/05/19-I249/1 შუალედური ანგარიშის მიხედვით, რომელშიც აღნიშნული იყო

თავდაპირველ ინსპექტირებაზე წარმოდგენილი პროექტის მიმართ შემდეგი შენიშვნები:

– მონოლითური სვეტების მარკით ს-1, ს-2, ს-4, ს-5, ს-6 და ს-7 არმირების სქემებზე მოცემულია საარმატურე ღეროების ერთი სიმაღლის ნაშვერები, რაც ვერ უზრუნველყოფს სვეტების გრძივი მუშა არმატურის წანაცვლებით გადაბმას. ვფიქრობთ, საჭიროა აღნიშნული ნაშვერების ნახევარის დაგრძელება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გრძივი მუშა არმატურის ღეროების 50%-ის სხვა დონეზე გადაბმა, ნორმების შესაბამისად.

აღნიშნული შენიშვნები გათვალისწინებული იქნა კონსტრუქტორის მიერ და წარმოდგენილია შენიშვნების მიხედვით გაკორექტირებული პროექტი. წარმოდგენილი პროექტის მიმართ ინსპექტირებას პრეტენზია არ გააჩნია და ეძლევა დადებითი შეფასება.

დანართი – პროექტი თან ერთვის დასკვნას ელ-ვერსიით.

დასკვნა

ქ. თბილისში, კვაჭანტირაძის ქ. №5-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი ძირითადად პასუხობს მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს. კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება და რეკომენდაცია განხორციელებისათვის.

იხ. კვლევითი ნაწილი.

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა:

ინსპექტორი: /ა. ნატროშვილი /

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:

ტექნიკური მენეჯერის

მოვალეობის შემსრულებელი: /ა. ნატროშვილი /

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:

ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი: /მ. წიქარიშვილი /

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0121

ადასტურებს, რომ

შპს „მშენ-ექსპერტი“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მდებარე: ქ. თბილისი, მიროტაძის ქ. #1, ბინა #4

შეფასდა და აკმაყოფილებს ეროვნული სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტებულია შემდეგ სფეროში: 1. ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება; 2. ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის მიხედვით); 3. ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება; 4. ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება; 5. სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობის, ნაგებობების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება, მათ შორის: საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა/დასკვნა; კონსტრუქციული ნაწილი; საინჟინრო ქსელები: (ელ. მომარაგება, სუსტი დენები) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები: წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები: (ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; არქიტექტურული ნაწილი; **დამატებით სფეროს აკრედიტაცია:** 6. ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ინსპექტირება;
(იხ. დანართი - „აკრედიტაციის სფერო“)

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
14 აგვისტო 2017 წ.

ძალაშია
01 აპრილი 2020 წ.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გ[illegible] №42ა

დამკვეთი: სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“
დამამზადებელი: შპს „სოლეი“ სფს-ს რეგისტრაციის № 06-3938